

# რისკი და ზარალი

თენგიზ ვერულავა

*მედიცინის აკადემიური დოქტორი*

რადგან რისკის არსის გარკვევის გარეშე შეუძლებელია დაზღვევის სრულფასოვნად გაგება, ამიტომ სანამ დაზღვევას გავეცნობოდეთ, მანამ ვისაუბრებთ რისკზე - თუ რა არის რისკი? რა განსხვავებაა რისკსა და შანსს შორის? რა ფაქტორები ახდენს გავლენას რისკზე? რისკის რა სახეები არსებობს?

## რისკის ცნება

მომავლის განჭვრეტა შეუძლებელია. ჩვენი ცხოვრება მოულოდნელობებით, შემთხვევითობებით არის სავსე. ნაპოლეონ ბონაპარტეს სიტყვებით „შემთხვევითობა სამყაროს ერთადერთი კანონიერი მეუფეა“.

*შემთხვევითობა, შემთხვევითი მოვლენა არის სავარაუდო, გაუთვალისწინებელი მოვლენა, რომელიც შეიძლება მოხდეს, ან შეიძლება არც მოხდეს.*

მაგალითად, მიწისძვრამ შეიძლება გაანადგუროს საცხოვრებელი სახლი, ავტოავარიამ განაპირობოს ადამიანის სხეულის დაზიანება. მაგრამ შესაძლებელია ეს გარემოებები არც მოხდეს. ეს მოულოდნელი, შემთხვევითი გარემოებები: სტიქიური უბედურებები, ავტოსაგზაო ავარიები, ქურდობა, ძარცვა, ავადმყოფობა, გარდაცვალება - წარმოადგენენ რისკებს.

სიტყვა რისკი იტალიური წარმოშობისაა. ძველმა მეზღვაურებმა “Risco” წყალქვეშა კლდეებს, რიფებს შეარქვეს. ბერძნული ეტიმოლოგიით რისკი (ბერძ.

risikon) კლდის პირა ნაპრალს, ხრამს ნიშნავს. იტალიურად „Rischio“ საფრთხის წყაროს ნიშნავს. ამ სიტყვამ შემდგომში საერთო საფრთხის მნიშვნელობა შეიძინა.

რისკის მრავალი განსაზღვრება არსებობს. ეკონომისტები, რისკის თეორეტიკოსები, სტატისტიკოსები, აქტუარები თავისებურად განსაზღვრავენ რისკს და აქვთ რისკის საკუთარი კონცეფცია. ჩვეულებრივ, რისკის განსაზღვრებისას გამოიყენება გაურკვევლობის ტერმინი. ამ კონცეფციის მიხედვით რისკი განისაზღვრება როგორც გაურკვევლობა დანაკარგების დადგომასთან მიმართებით (Rejda. 2013). რისკი აგრეთვე განისაზღვრება როგორც ცვალებადობა მომავალ შედეგებში, დანაკარგების შანსი, მოსალოდნელი, სასურველი შედეგიდან უარყოფითი გადახრის შესაძლებლობა, მოცემულ სიტუაციაში შესაძლო გამოსავლების ცვალებადობა, შესაძლებლობა იმისა რომ გონიერ ადამიანს შესაძლოა ჰქონდეს დანაკარგები (Rejda. 2013). მაგალითად, ავტოკატასტროფაში დაღუპვის რისკი არსებობს, რადგან არსებობს გაურკვევლობა. თამბაქოს მომხმარებელთათვის ფილტვის სიმსივნის რისკი არსებობს, რადგან არსებობს გაურკვევლობა. ამ კურსის გამოცდაზე ჩაჭრის რისკიც არსებობს, რადგან არსებობს გაურკვევლობა.

თუმცა რისკი განისაზღვრება როგორც გაურკვევლობა, სადაზღვევო კომპანია ტერმინ რისკს ხშირად იყენებს დაზვეული ქონების ან სიცოცხლის იდენტიფიცირებისათვის. ამგვარად, სადაზღვევო ინდუსტრიაში ხშირად გაიგონებთ ასეთ განაცხადს: „ეს შენობა დაბალრისკიანია“, ან „ეს ავტომანქანა მიუღებელი რისკია“. როდესაც რისკი განისაზღვრება როგორც გაურკვევლობა, ხდება ობიექტური და სუბიექტური რისკების ერთმანეთისაგან განცალკევება.

### **ობიექტური რისკი**

ობიექტური რისკი განისაზღვრება როგორც მოსალოდნელი დანაკარგებისგან ფაქტიური დანაკარგების ფარდობითი გადახრა. მაგალითად, ვივარაუდოთ რომ სადაზღვევო კომპანიამ დააზღვია 10000 სახლი გრძელი პერიოდის განმავლობაში.

საშუალოდ 1%, ანუ 100 სახლი ხანძრის გამო იწვება ყოველ წელს. თუმცა, ყოველ წელს ზუსტად 100 სახლის დაწვა იშვიათად არის მოსალოდნელი. ზოგიერთ წელს შესაძლოა მხოლოდ 90 სახლი დაიწვას, სხვა წლებში კი 110 სახლი. შესაბამისად, 10 სახლი არის გადახრა მოსალოდნელი 100 სახლის ხანძრისგან, ანუ მოსალოდნელისგან 10 %-ით გადახრა. მოსალოდნელი დანაკარგებისგან ფაქტიური დანაკარგების ეს ფარდობითი გადახრა წარმოადგენს ობიექტურ რისკს.

ობიექტური მიდგომის მიმდევრები თვლიან, რომ რისკის შედეგების თავიდან აცილების მიზნით, ადამიანთა საქმიანობა უპერსპექტივოა, რადგან ბუნების ობიექტურ კანონებთან ბრძოლას აზრი არა აქვს. ამასთან, რისკის მართვის პროცესს ისინი განიხილავენ, როგორც ზარალის დათვლის და მისი კომპენსაციის მეთოდების განსაზღვრის პროცედურას. მოცემული კონცეფციის თანახმად, ობიექტურობა კატეგორიისა „ეკონომიკური რისკი“, გამოიხატება იმაში, რომ ეს ცნება დაკავშირებულია საზოგადოებრივ ცხოვრებაში რეალურად მომხდარ მოვლენებთან და პროცესებთან, რომლებიც ადამიანის ნებისა და ცნობიერებისგან დამოუკიდებლად არსებობენ.

ობიექტური რისკი მცირდება როდესაც დასაზღვევ ობიექტთა რაოდენობა იზრდება. ჩვენს მაგალითში 10000 სახლია დაზღვეული და ობიექტური რისკია 10/100, ანუ 10 %. ახლა ვივარაუდოთ რომ 1 მილიონი სახლია დაზღვეული. იმ სახლების მოსალოდნელი რაოდენობა, რომლებიც დაიწვებიან ხანძრის გამო შეადგენს 10000, მაგრამ მოსალოდნელი დანაკარგებისგან ფაქტიური დანაკარგების ფარდობითი გადახრა შეადგენს 100-ს. ობიექტური რისკი იქნება 100/100000, ანუ 1 %. ამგვარად რადგან რაოდენობა გაიზარდა 100-დან 1000-მდე (10 ჯერ), ობიექტური რისკი საწყის დონესთან შედარებით 1/10-ით შემცირდა.

### ***რისკი და შანსი***

ჩვენ გარკვეულ საქმიანობას იმიტომ ვეწევით, რომ დასახული გვაქვს გარკვეული გეგმები და ამ გეგმებით გარკვეული შედეგების მიღწევა. მაგრამ ჩვენ არ ვიცით თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ჩვენს საქმიანობას, ქმედებებს. იმის გამო, რომ ჩვენს საქმიანობას მუდამ თან ახლავს რისკი, შედეგი შესაძლოა იყოს ან დადებითი, ან მოსალოდნელზე უფრო უკეთესი, ან არაკეთილსასურველი. როდესაც გარემოებები ხელსაყრელია შედეგები დადებითია, ან მოსალოდნელზე

უფრო უკეთესი. როდესაც გარემოებები არახელსაყრელად წარიმართება, შედეგები არაკეთილსასურველია.

*დაგეგმილ და ფაქტობრივ შედეგებს შორის დადებითი გადახრის შესაძლებლობა, ანუ მოსალოდნელ შემთხვევაზე კეთილსასურველი შედეგის, მოგების მიღების შესაძლებლობა წარმოადგენს შანსს.*

*”რისკი“ განიხილება, როგორც დაგეგმილ და ფაქტობრივ შედეგებს შორის უარყოფითი გადახრის შესაძლებლობა, ანუ მოსალოდნელ შემთხვევაზე არაკეთილსასურველი შედეგის მიღების შესაძლებლობა.*

ამ თვალსაზრისით, რისკი ასოცირდება დანაკარგებთან, არსებული მდგომარეობის გაუარესებასთან, ზარალთან, წაგებასთან, ხოლო შანსი - მოგებასთან, მდგომარეობის გაუმჯობესებასთან.

ამგვარად, რისკი არაკეთილსასურველი შემთხვევის მოხდენის, დანაკარგების შესაძლებლობაა, რომელიც ბუნებრივ-კლიმატური, ეკონომიკური ან სოციალური მოვლენებისგან გამომდინარეობს. რისკი როგორც მრავალასპექტოვანი მცნება შეიძლება განვიხილოთ როგორც ისტორიული, სამართლებრივი, ეკონომიკური ან ფინანსური კატეგორია.

რისკები ზემოქმედებენ:

- ადამიანზე,
- ადამიანის ან ორგანიზაციის ქონებაზე
- ადამიანის ან ორგანიზაციის მატერიალურ მდგომარეობაზე,
- ადამიანის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე.

*ადამიანზე* ზემოქმედებენ ისეთი რისკები, როგორებიცაა: დაავადება და უბედური შემთხვევები. ეს რისკები განაპირობებენ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას, დაინვალიდებას, შრომისუნარიანობის დაკარგვას, გარდაცვალებას.

*ადამიანის ან ორგანიზაციის ქონებაზე* ზემოქმედებენ ისეთი რისკები, როგორებიცაა: უბედური შემთხვევები, ხანძარი, ძარცვა, ავარია, სასმელი წყლის გაჟონვა, მანქანის მწყობრიდან გამოსვლა, სტიქიური უბედურებები. ეს რისკები განაპირობებენ ქონების დაზიანებას, განადგურებას, დაკარგვას.

*ადამიანის ან ორგანიზაციის მატერიალურ მდგომარეობაზე* ზემოქმედებენ ისეთი რისკები, როგორებიცაა: პროფესიული შეცდომა, უკანონო ქმედებები. ეს რისკები განაპირობებენ მოულოდნელი ფინანსური ხარჯების საჭიროებას, მესამე პირებისადმი მიყენებული ზარალის ანაზღაურებას, ადვოკატის, ექიმის ხარჯების ანაზღაურებას, საკომპენსაციო თანხების გადახდის ვალდებულებას.

საფრთხე და რისკი მსგავსი ცნებებია, მაგრამ მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. საფრთხე არის გარემოებათა კომბინაცია, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი ეფექტი. რისკი არის ალბათობა იმისა, რომ ეს მოხდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რისკი არის გათვლილი პოტენციური ზიანი, რომელიც მოიცავს საფრთხეს მოცემული ადამიანისათვის. საფრთხესა და რისკს შორის არსებობენ მოვლენები, ან საქმიანობები, რომლებიც წარმოადგენენ რისკის რეალიზაციის თავისებურ მექანიზმებს. ამდენად, რისკს, როგორც გარკვეულ მოვლენას აქვს ორი ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება - გაურკვეველობა (ალბათობა) და ზიანი, რომელიც ვითარდება საფრთხის განხორციელების შედეგად.

ეკონომიკური თეორიის მიხედვით რისკი განიხილება როგორც საწარმოს მიერ შემოსავლების დაკარგვის ალბათობა (საფრთხე) ან გარკვეული საწარმო და

ფინანსური საქმიანობის შედეგად დამატებითი შემოსავლების მიღების შესაძლებლობა.

რისკის ფაქტორი და მისი გამოვლენის შედეგად შესაძლო ზიანის დაფარვის აუცილებლობა განაპირობებს დაზღვევის საჭიროებას, რის გამოც რისკი წარმოადგენს სადაზღვევო ინტერესების და ურთიერთობების წარმოშობის საფუძველს. დაზღვევაში რისკი განიხილება რამდენიმე ასპექტში:

- როგორც კონკრეტული მოვლენა ან მოვლენათა ერთობლიობა რომელთა დადგომის შედეგად ხდება ანაზრაურება წინასწარ შექმნილი სადაზღვევო ფონდიდან;
- კონკრეტულ დაზღვეულ ობიექტთან კავშირში, რადგან ყველა რისკს აქვს გამოვლენის კონკრეტული ობიექტი;
- როგორც გარკვეულ დაზღვეულ ობიექტზე ზიანის მიყენების (დანაკარგების მიღების) ალბათობა

რისკი გვევლინება დაზღვევის ობიექტად, ხოლო მისი რეალიზაცია შემთხვევითი მოვლენების შედეგად ნიშნავს სადაზღვევო შემთხვევის წარმოქმნას. ტექნოლოგიების განახლება, მათი მაქსიმალური უსაფრთხოება, განაკუთრებული სიტუაციების მათემატიკური მოდელირება ამცირებენ შემთხვევითობას. ყოვლისმომცველი, სისტემატური და ზუსტი ინფორმაციის საფუძველზე შემთხვევითი მოვლენები განზოგადოებული სახით შეიძლება წარმოდგენილ იქნას როგორც კანონზომიერება.

### ***რისკის ხარისხი***

სხვადასხვა რისკი სხვადასხვა ხარისხითაა მოსალოდნელი.

***რისკის ხარისხი წარმოადგენს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ალბათობას შესაძლო ზარალები გათვალისწინებით. რისკის ხარისხი ახასიათებს მზღვეველის***

*პასუხისმგებლობას დადებული სადაზღვევო ხელშეკრულებების მიხედვით. რაოდენობრივი გამოხატულებით რისკის ხარისხი არის სადაზღვევო თანხის ზარალიანობის მაჩვენებელი.*

როგორც შეიძლება შევაფასოთ რისკის სხვადასხვა ხარისხი? დავუშვათ, რომ მდინარის პირას დგას სახლი. ცნობილია, რომ მდინარემ შესაძლოა გადმოლახოს ნაპირები. ამ სიტუაციაში, ჩვენ შეგვიძლია ვიხმაროთ სიტყვა "სარისკო". ჩვენთვის გაურკვეველია მოხდება თუ არა წყალდიდობა და გახდება თუ არა იგი სახლის დაზიანების მიზეზი. ის ფაქტი, რომ ამ მდინარეზე შესაძლებელია წყალდიდობა, აძლიერებს დანაკარგების მოლოდინს, და ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ შემთხვევაში დაზიანების წარმოქმნის სიხშირე მაღალია. ამიტომ ვიყენებთ ტერმინ "სარისკო", რომ აღვნიშნოთ დაზიანების გაზრდილი შესაძლებლობა.

უფრო ადვილია ამის გაგება, თუ წარმოვიდგენთ, რომ მეორე სახლი მდებარეობს მდინარიდან მოშორებით, პატარა გორაზე. ეს სახლი შეიძლება დავახასიათოთ, როგორც ნაკლებად სარისკო მდგომარეობაში მყოფი. თუმცა, წყალდიდობის პერსპექტივა არ შეცვლილა, მაგრამ ამ მიზეზით სახლის დაზიანების შესაძლებლობა შედარებით ნაკლებია.

ახლა დავუშვათ, რომ პირველი სახლი, რომელიც დგას მდინარის პირას, არის საზაფხულო სახლი, რომელსაც იშვიათად იყენებენ და რემონტის ჩაუტარებლობის გამო, ცუდ მდგომარეობაშია. მისი ღირებულება კი 10 000 ლარია. მეორე სახლი უფრო მდიდრულია და მისი ღირებულებაა 50 000 ლარი.

ამ შეთხვევაში, ჩვენ უნდა შევიცვალოთ ჩვენი თვალსაზრისი, თუ რომელი სახლი უფრო წარმოადგენს დიდ რისკს, შედეგების პოტენციური სიმძიმის გათვალისწინებით. ამგვარად, არსებობს დაბალი რისკი და მაღალი რისკი.

რისკის ხარისხი გულისხმობს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ალბათობას შესაძლო ზარალების გათვალისწინებით. რისკის ხარისხი ახასიათებს მზღვეველის პასუხისმგებლობას დადებული სადაზღვევო ხელშეკრულებების მიხედვით. რაოდენობრივი გამოხატულებით რისკის ხარისხი არის სადაზღვევო თანხის ზარალიანობის მაჩვენებელი.

### **გავლენის ფაქტორები**

რისკი განაპირობებს შედეგების არაერთგვაროვნებას. შედეგები შესაძლოა იყოს დადებითი, მოსალოდნელზე უფრო უკეთესი, ან არაკეთილსასურველი. რისკის გარდა, შედეგების ასეთი არაერთგვაროვნება დაკავშირებულია ასევე იმ ფაქტორებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ რისკის სიდიდეზე. ჩვენს მაგალითში, წყალდიდობა რისკია, რომელმაც შესაძლოა დააზიანოს სახლი. სახლის დაზიანებაზე გავლენას ახდენს მდინარიდან სახლის დაშორება. რაც უფრო დაშორებულია სახლი მდინარეს, მით უფრო ნაკლებია დაზიანების სიმძიმე. მდინარიდან სახლის დაშორება წარმოადგენს გავლენის ფაქტორს.

**გავლენის ფაქტორები გავლენას ახდენენ რისკის სიდიდეზე და ზრდიან ან ამცირებენ რისკის სიდიდეს.**

ასევე არის ავტოავარიის რისკი, და მოყინული გზა, რომელიც გავლენას ახდენს ავტოავარიის რისკზე. კერძოდ, მოყინული გზა ზრდის ავტოავარიის რისკს. ამ შემთხვევაში ავტოავარია რისკია, ხოლო მოყინული გზა გავლენის ფაქტორი, რომელიც მოქმედებს ავტოავარიის რისკის სიდიდეზე.

გავლენის ფაქტორების განხილვას აქვს უდიდესი მნიშვნელობა, როდესაც სადაზღვევო კომპანია წყვეტს - დააზღვიოს თუ არა ესა თუ ის რისკი და რა სადაზღვევო პრემია დააწესოს.



გავლენის ფაქტორი შეიძლება იყოს მატერიალური და არამატერიალური. მატერიალური ფაქტორი დაკავშირებულია რისკის ფიზიკურ, გარეგნულ, მატერიალურ მახასიათებლებთან. ზემოაღნიშნულ მაგალითებში წყალდიდობისას სახლის დაშორება მდინარიდან, მოყინული გზა გავლენის მატერიალური ფაქტორებია. ხანძარზე გავლენას ახდენს შემდეგი მატერიალური ფაქტორები: სახანძრო უსაფრთხოების სისტემების, სიგნალიზაციის, სახანძრო რაზმის არსებობა. ცხადია, სადაც არის გამართული სახანძრო უსაფრთხოების სისტემები, სიგნალიზაცია, ხანძრის როგორც რისკის შედეგების სიმძიმე შედარებით ნაკლებია.

ადამიანის ჯანმრთელობის გაუარესებაზე, ავადმყოფობაზე გავლენას ახდენს შემდეგი მატერიალური ფაქტორები: სქესი, ასაკი, საქმიანობა, ცხოვრების სტილი, ჰობი... რაც უფრო ასაკოვანია ადამიანი მით უფრო მეტია ავადმყოფობის რისკი, თუ ადამიანი არ მისდევს ცხოვრების ჯანსაღ წესს, ეწევა სიგარეტს, მით უფრო მეტია ავადმყოფობის რისკი.

*არამატერიალური ფაქტორები უკავშირდება სუბიექტურ, არამატერიალურ გარემოებებს, რომლებსაც ასევე შეუძლიათ გავლენა მოახდინონ რისკის დადგომაზე და შედეგებზე*, კერძოდ, არამატერიალური ფაქტორებია ადამიანის ხასიათი, პასუხისმგებლობა, კონფლიქტურობა, აგრესიულობა, თაღლითობის განზრახვა, რისკიანობა, სიფრთხილე, დაზღვეულის დამოკიდებულება დაზღვეული ქონების მიმართ.

## ზარალი

რისკი არის საფრთხეების შესაძლებლობა, ხოლო ზარალი არის მოსალოდნელი რისკების რეალიზების შედეგი. ასე რომ, რისკი ზარალის მიზეზია, ხოლო ზარალი - რისკის რეალიზაცია. ზარალის მეშვეობით იღებს რისკი კონკრეტულ გაზომვად, რეალურ ფორმას. მიწისძვრა არის რისკი, ხოლო მიწისძვრის შედეგად შენობის დაზიანებით განპირობებული ფულადი დანაკარგი არის ზარალი, რომელიც

მიადგა შენობის მეპატრონეს. თავის მხრივ, ზარალი არის მატერიალური და არამატერიალური.

### *მატერიალური ზარალი*

როდესაც რისკი ზემოქმედებს რაიმე ნივთზე ან საგანზე, ზარალის ფორმა თვალსაჩინოა: ობიექტი ზიანდება, ნადგურდება ან იკარგება, ხოლო ზარალი არის ამის ფინანსური ფორმით გამოხატულება, ანუ დაზიანებით, განადგურებით, დაკარგვით განპირობებული ფულადი დანაკარგი. მაგალითად, როდესაც წყალდიდობა ზემოქმედებს შენობაზე, ზარალი თვალსაჩინოა, რადგან ზიანდება თავად შენობა. ხოლო ზარალი არის ამ შენობის დაზიანებით განპირობებული ფულადი დანაკარგი, რომელიც მიადგა შენობის მეპატრონეს. აგრეთვე, როდესაც დგება ფინანსური პასუხისმგებლობა მესამე პირებისადმი, ნათელი ხდება იმ პირის მატერიალური მდგომარეობის გაუარესება, რომელმაც უნდა აანაზღაუროს სხვისადმი მიყენებული ზარალი. ასეთ შემთხვევებში ზარალი მატერიალური სახისაა.

*ზარალს, რომელიც უშუალოდ აისახება დაზარალებული პირის მატერიალურ, ფინანსურ მდგომარეობაზე და ზარალის სიდიდის შეფასებაც შესაძლებელია ფინანსური, ფულადი ფორმით სხვადასხვა ობიექტური კრიტერიუმის საფუძველზე, ეწოდება მატერიალური ზარალი.*

როდესაც რისკი ზემოქმედებს ადამიანზე და საქმე ეხება მის ჯანმრთელობას, სხეულს, სიცოცხლეს, ემოციურ და მორალურ მდგომარეობას, ზარალის ცნება ფარდობითი ხდება

*ზარალს, რომელიც უშუალოდ არ აისახება ადამიანის მატერიალურ, ფინანსურ მდგომარეობაზე და საქმე ეხება მის ემოციურ, ფსიქოლოგიურ მდგომარეობას ეწოდება არამატერიალური ზარალი.*

ფსიქოლოგიური მდგომარეობის ფინანსურად გამოხატვა შეუძლებელია, ვერავინ განსაზღვრავს რა ღირს ტკივილები ტრავმის შემდეგ, სტრესული მდგომარეობა, ახლობლის გარდაცვალება ან ოჯახური რელიქვიის დაკარგვა.

ზოგიერთ გარემოებაში შესაძლებელია მხოლოდ თანმხლები ფინანსური ზარალის გაანგარიშება და არა ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ფასის დადგენა. ასეთი თანმხლები ფინანსური ზარალია: ჯანმრთელობის აღსადგენად აუცილებელი მკურნალობის ხარჯები, შრომისუნარობის გამო დაკარგული შემოსავლების სიდიდე, ინვალიდობის შემთხვევაში - ადამიანის სრულფასოვნად შენახვის ხარჯები, ტრავმის/გარდაცვალების გამო შეუსრულებელი ფინანსური ვალდებულებების ფასი.

ცხრილი: რისკი და ზარალი

ზემოქმედება	რისკი	ზარალი
ადამიანი	დაავადება, უბედური შემთხვევა	ადამიანის სხეულის ტრავმა; ჯანმრთელობის დაზიანება; დაინვალიდება; შრომისუნარიანობის დაკარგვა; გარდაცვალება
ადამიანის ან ორგანიზაციის ქონება	სტიქიური უბედურებები, ხანძარი, უბედური შემთხვევა, აფეთქება, ავარია	ქონების დაზიანება, ქონების განადგურება, ქონების დაკარგვა
ადამიანის ან ორგანიზაციის მატერიალური მდგომარეობა	პროფესიული შეცდომა, სამეწარმეო გარემოს გაუარესება, ფასების ცვლილება	მოულოდნელი ფინანსური ხარჯების საჭიროება; მესამე პირებისადმი მიყენებული ზარალის ანაზღაურების აუცილებლობა, ადვოკატის, ექიმის ხარჯების ანაზღაურება, თანამშრომელთათვის საკომპენსაციო თანხების გადახდის ვალდებულება

### რისკების სახეები

ბუნებრივია ადამიანს სურს თავი დაიცვას რისკებისაგან, შეამციროს დანაკარგის დადგომის ალბათობა ან მისი ზომა. ამისათვის საჭიროა რისკების დეტალური შესწავლა და მათი კლასიფიკაცია. რისკების კლასიფიკაცია გულისხმობს განსაზღვრული ნიშან-

თვისებების მიხედვით რისკების დაყოფას კონკრეტულ ჯგუფებად. რაც უფრო ზუსტია რისკების კლასიფიკაცია მით უფრო ეფექტურია მათი მართვა.

რისკების კლასიფიკაციის კრიტერიუმებად შეიძლება იყოს:

- ობიექტების ჯგუფები, რომელთაც საფრთხეს უქმნიან რისკები;
- რისკის გამომწვევი მიზეზები;
- რისკზე გავლენის შესაძლებლობა

ობიექტების ჯგუფები განსხვავდებიან ადამიანის საქმიანობის სფეროების მიხედვით. სამეწარმეო საქმიანობაში, მაგალითად, გამოყოფენ რისკის შემდეგ ობიექტებს:

- საწარმოს შრომითი პოტენციალი, რომელიც შეიძლება გაიზომოს სამუშაო საათებით, მისი ანაზღაურების დანახარჯებით და მწარმოებლურობით;
- საწარმოს ქონება: ნაგებობები, მოწყობილობები, ნედლეულის მარაგი, მასალები, მზა პროდუქტები;
- კაპიტალი, რომელიც შეიძლება გაიზარდოს მოგების მიღების შედეგად ან შემცირდეს გაუთვალისწინებელი ხარჯებისა და დანაკარგების შედეგად;
- ინფორმაცია.

*გამომწვევი მიზეზების* მიხედვით გამოყოფენ რისკებს რომლებიც დაკავშირებულია შემდეგ გარემოებებთან:

- ბუნებრივი მოვლენების შედეგად გამომდინარე - წყალდიდობა, სეტყვა, მიწისძვრა, ეპიდემია და სხვა;
- სოციალურ-საზოგადოებრივი გარემოს მიერ წარმოქმნილი - თაღლითობა, დანაშაული, შემთხვევითი, წინდაწინ განზრახული ზიანის მიყენება;
- ტექნიკური გარემოს შედეგად გამოწვეული - ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლა;
- სამეურნეო პროცესებთან და ეკონომიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებული - ინფლაცია, საბაზრო პირობები, საბანკო პროცენტი, გაცვლითი კურსი და ა.შ.

რისკზე ზემოქმედების შესაძლებლობის მიხედვით გამოყოფენ შემდეგ რისკებს:

- *ეგზოგენური (გარეგანი) რისკები*, რომლებიც არ არიან დაკავშირებული სამეურნეო სუბიექტის (მეწარმის) გადაწყვეტილებებთან. ამ დროს მას შეუძლია მხოლოდ ებრძოდეს და ამით შეამციროს წარმოქმნილი დანაკარგები;
- *ენდოგენური (შიდა) რისკები* დაკავშირებულია სამეურნეო სუბიექტის (მეწარმის) გადაწყვეტილებებთან, ამიტომ მან შეიძლება შეამციროს მათი დადგომის ალბათობა, ან ზოგიერთ შემთხვევაში სრულიად თავიდან აიცილოს.

რისკების კლასიფიკაცია შესაძლოა წარმოვადგინოთ შემდეგი მკაფიოდ განსხვავებული კატეგორიებით:

- წმინდა და სპეკულატიური რისკი;
- ფუნდამენტური რისკი და სპეციფიკური რისკი
- საწარმოო რისკი

### **წმინდა და სპეკულატიური რისკები**

იმის მიხედვით თუ როგორი შეიძლება იყოს შესაძლო შედეგი რისკები იყოფა წმინდა და სპეკულაციურ რისკებად.

*რისკი, რომლის შედეგები მხოლოდ დანაკარგებს, მდგომარეობის გაუარესებას, ან არსებული მდგომარეობის შენარჩუნებას იწვევს, წმინდა რისკი ეწოდება.*

წმინდა რისკი არანაირად არ არის დაკავშირებული მოგებასთან. მან შესაძლო გამოიწვიოს არასასურველი შედეგები, დანაკარგები ან არ ჰქონდეს არანაირი შედეგი (დანაკარგების გარეშე). წმინდა რისკებია: ნაადრევი გარდაცვალება, სამუშაოსთან დაკავშირებული შემთხვევები, კატასტროფული სამედიცინო დანახარჯები, ხანძრის შედეგად ქონების დაზიანება, წყალდიდობა, მიწისძვრა, სხვა ბუნებრივი, ეკოლოგიური,

პოლიტიკური, სატრანსპორტო და კომერციული რისკების გარკვეული ნაწილი (ქონებრივი, საწარმოო, სავაჭრო).

წმინდა რისკის ალტერნატივა არის *სპეკულაციური რისკი*, რომლის დროს არსებობს მოგების შანსი. *რისკი, რომელიც განაპირობებს ან ზარალს, ან მოგებას ეწოდება სპეკულაციური რისკი.*

ამგვარად სპეკულაციური რისკის დროს შესაძლოა განვითარდეს როგორც დადებითი შედეგი (მოგება) ასევე უარყოფითი შედეგი (დანაკარგები). მაგალითად, თქვენ შეიძინეთ აქციის 100 წილი. თქვენ შეიძლება მოიგოთ, თუ აქციის ფასი გაიზრდება, მაგრამ ასევე შეიძლება წააგოთ, თუ აქციის ფასი შემცირდება. სპეკულაციური რისკის მაგალითებია კაზინო, ტოტალიზატორზე თამაში, უძრავ ქონებაში ინვესტიციები, ბიზნესის წამოწყება. ამ შემთხვევებში შედეგი შესაძლოა იყოს წაგება, ან მოგება, ან არსებული მდგომარეობის შენარჩუნება. თუმცა აღნიშნულის კეთების მიზეზი არის მოგების მიღების პერსპექტივა. სპეკულაციური რისკი ყოველთვის არსებობს ბიზნესში. მეწარმეები ცდილობენ შეინარჩუნონ ან გაზარდონ არსებული მდგომარეობა. არსებული მდგომარეობის როგორც შენარჩუნება ასევე გაზრდა დაკავშირებულია რიკთან - დაიკარგოს ან შემცირდეს არსებული კეთილდღეობა.

მნიშვნელოვანია წმინდა და სპეკულაციური რისკების ერთმანეთისაგან გამოყოფა. კერძო მზღვეველები მხოლოდ წმინდა რისკებს აზღვევენ. ამ დროს გამონაკლისს შესაძლოა შეადგენდეს ინსტიტუციონალური ინვესტიციების დაზღვევა (Rejda. 2013). ამასთან, დიდი ციფრების კანონი შესაძლოა გამოყენებულ იქნას უფრო ადვილად წმინდა რისკების მიმართ, ვიდრე სპეკულაციური რისკების მიმართ. დიდი ციფრების კანონი მნიშვნელოვანია, რადგან იგი მზღვეველებს საშუალებას აძლევს გააკეთონ მომავალი დანაკარგების პროგნოზირება. მომავალი დანაკარგების პროგნოზირებისათვის დიდი ციფრების კანონის გამოყენება სპეკულაციური რისკების მიმართ შედარებით რთულია. გამონაკლისს შეიძლება წარმოადგენდეს კაზინოში თამაშის სპეკულაციური რისკი, სადაც კაზინოს ოპერატორებმა შეიძლება გამოიყენონ დიდი ციფრების კანონი ყველაზე ეფექტური გზით (Rejda. 2013).

აქვე აღსანიშნავია, რომ საზოგადოებამ შესაძლოა მოიგოს სპეკულატიური რისკისგან, მაშინაც კი როდესაც იგი წამგებიანია. მაგალითად, საწარმომ შედარებით იაფი კომპიუტერების წარმოებისათვის შესაძლოა განავითაროს ახალი ტექნოლოგიები. შედეგად, ზოგიერთი კონკურენტი საწარმო შესაძლოა გაბანკროტდეს. თუმცა, მიუხედავად საწარმოს გაბანკროტებისა, საზოგადოება მოგებას ღებულობს, რადგან კომპიუტერების წარმოება გაიფადა. ამისგან განსხვავებით, საზოგადოება არასოდეს ღებულობს მოგებას წმინდა რისკების შემთხვევაში (მაგ., წყალდიდობა, მიწისძვრა).

### **ფუნდამენტური და სპეციფიკური რისკები**

*რისკი, რომლის წარმოშობა და დადგომა არ არის დაკავშირებული ადამიანის ძალისხმევაზე, ხოლო მისი შედეგები გავლენას ახდენს ერთდროულად ადამიანთა დიდ რაოდენობაზე ეწოდება ფუნდამენტური რისკი.*

ფუნდამენტური რისკის მაგალითებია სტიქიური უბედურებები: მიწისძვრა, წყალდიდობა, ვულკანის ამოფრქვევა. ამასთან ფუნდამენტური რისკები მხოლოდ ბუნებრივი საფრთხეებით არ შემოსაზღვრება. ფუნდამენტური რისკებია აგრეთვე, სოციალური მოვლენები: ინფლაცია, უმუშევრობა, ეკონომიკური კრიზისი, საკანონმდებლო ცვლილებები, ომი, ტერორისტული აქტები.

ფუნდამენტური რისკები განეკუთვნება კატასტროფულ რისკებს. *კატასტროფული რისკები წარმოადგენს ისეთ რისკებს, რომელთა შედეგები კატასტროფული ხასიათისაა, ვრცელდება ერთი ან რამოდენიმე ქვეყნის ან რეგიონის გარკვეულ ტერიტორიაზე და ეხება ადამიანთა დიდ რაოდენობას.* კატასტროფული რისკების მაგალითია მაგ. მიწისძვრა, წყალდიდობა, ბირთვული აფეთქება, ეპიდემია და სხვა.

ფუნდამენტურ რისკებს განეკუთვნება აგრეთვე ბუნებრივი რისკები. *ბუნებრივი რისკები ბუნებრივი მოვლენებით არის გამოწვეული და ადამიანისგან დამოუკიდებლად, მისი კონტროლის გარეშე მიმდინარეობს.* ბუნებრივი რისკების მაგალითია მიწისძვრა, წყალდიდობა, მეწყერი, სეტყვა, ქარიშხალი, მეხის დაცემა, შტორმი, ვულკანის ამოფრქვევა და სხვა.

**მიწისძვრა** ბუნებრივი მოვლენაა, რომლის დროსაც ადგილი აქვს მიწისქვეშა ბიძგებს და დედამიწის ზედაპირის რყევას. საშუალო სტატისტიკური მონაცემებით, ყოველწლიურად დედამიწაზე ხდება მილიონამდე მიწისძვრა. მიწისძვრების უმრავლესობა სუსტია, ხშირად შეუმჩნეველია ადამიანებისათვის და არანაირ ზიანს არ იწვევს. მიწისძვრათა გარკვეული რაოდენობა შეიგრძნობა ადამიანის მიერ, რომელთაგან ხოგი დამანგრეველი და კატასტროფული ხასიათისაა. ექსპერტული შეფასებებით, მიწისძვრები იწვევენ საშუალოდ 8 მილიარდი დოლარის ზარალს ყოველწლიურად. მიწისძვრის ძალა და ხასიათი დამოკიდებულია მიწის ზედაპირზე ენერჯის ინტენსიობაზე, რომელიც დიდი დამანგრეველი ძალით ვრცელდება მიწისძვრის ეპიცენტრიდან ყველა მიმართულებით სეისმური ტალღების სახით. მიწისძვრა განიხილება, როგორც რისკობრივი გარემოება, რომელიც იწვევს შენობა-ნაგებობების მნიშვნელოვან ნგრევას, საკომუნიკაციო სისტემების მოშლას, აფეთქებებს და ხანძრებს, ადამიანთა დაღუპვას და ტრავმებს.

**წყალდიდობა** წყლის დონის უეცარი მატება, განპირობებულია ტბების, მდინარეების, წყალსაცავების კალაპოტიდან წყლის გადმოსვლით, გადაუღებელი წვიმებით, მთებში თოვლის უხვი და ინტენსიური დნობით და სხვა. წყალმოვარდნა ძნელადპროგნოზირებადი მოვლენაა. წყალდიდობის დროს ადგილი აქვს შენობა-ნაგებობების ნგრევას, გზების ჩამორეცხვას და დაზიანებას, ელექტროგადამცემი ხაზების, წყალგაყვანილობის და საკანალიზაციო სისტემების მოშლას, ტექნიკური დანადგარების და ავტომობილების დაზიანებას, მოსავლის განადგურებას, ადამიანურ დანაკარგებს. რიგ შემთხვევებში, წყალდიდობამ შეიძლება გამოიწვიოს ხანძარი.

წყალდიდობა ოთხი ტიპისაა, რომლებიც ერთმანეთისაგან განმეორების სიხშირით, მასშტაბით და მიყენებული ზიანის ოდენობით განსხვავდებიან. ესენია:

ა) **უმნიშვნელო წყალდიდობა** - აღინიშნება 5-10 წელიწადში ერთხელ. წყალდიდობისას იფარება მდინარის მიმდებარე ტერიტორიის 1/10, არ იწვევს მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალს და არ არღვევს ცხოვრების ჩვეულებრივ რიტმს;



ბ) **მნიშვნელოვანი წყალდიდობა** რომელიც დამახასიათებელია როგორც ვაკის, ისე მთის მდინარეებისათვის, აღინიშნება 20-25 წელიწადში ერთხელ. წყალდიდობისას ფარება მდინარის ხეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, 15%-მდე. იწვევს არსებით მატერიალურ ზარალს, მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ევაკუაციას და ცხოვრების ჩვეული რიტმის შეცვლას;

გ) **დიდი წყალდიდობა** – მასშტაბური წყალდიდობა მოიცავს მდინარის მთელ აუზს, აღინიშნება 50-100 წელიწადში ერთხელ. იტბორება 50-70%. ხშირ შემთხვევაში თითქმის მთლიანად იფარება მდინარის მიმდებარე ტერიტორია, დასახლებული პუნქტები. იწვევს დიდ მატერიალურ ზარალს, მკვეთრად ცვლის ადამიანთა ყოფა-ცხოვრებასა და სამეურნეო საქმიანობას, მოითხოვს მოსახლეობისა და მატერიალური ფასეულობების ევაკუაციას;

დ) **კატასტროფული წყალდიდობა** — იტბორება უზარმაზარი ტერიტორიები, მათი 70%-ზე მეტი. მთლიანად, პარალიზებულია ადამიანის საქმიანობა. მოიცავს არაერთი მდინარის აუზს, აღინიშნება 100-200 წელიწადში ერთხელ ან უფრო იშვიათად. ამგვარი წყალდიდობა იწვევს ადამიანთა მსხვერპლს, უდიდეს მატერიალურ ზარალს.

**ომის რისკი** - ომის რისკის გაგება პირობითია, რადგან იგი წარმოადგენს რისკების ისეთ ერთობლიობას, რომელთა შინაარსი სცილდება საომარი და სამხედრო მოვლენების ზოგად განმარტებას. თუ დაზღვევის პირობები ითვალისწინებს ომის რისკის დაზღვევას, მზღვეველი ანაზღაურებს ისეთ ზარალებს, რომლებიც არ ანაზღაურდებოდა დაზღვევის სტანდარტული პირობებით განხორციელების შემთხვევაში. მაგალითად: ზარალი, რომელიც გამოწვეულია დაზღვეული ქონების (გემი, ტვირთი, შენობა-ნაგებობა და სხვა) ნაწილობრივი დაზიანებით ან მთლიანი, სრული დაღუპვით უკანონო გზით ხელში ჩაგდების, დაპატიმრების, დაკავების, მეკობრეთა თავდასხმის, ტორპედოსა და/ან ნაღმზე აფეთქების, დაბომბვის, გადაწვის შედეგად. ან, ნებისმიერი სამხედრო მოქმედების, სახალხო მღელვარების, ბოროტმოქმედთა ქმედების (იარაღით თუ უიარაღოდ), გაფიცვების, დემონსტრანტთა მიერ შენობა-ნაგებობების რბევით და სხვა მსგავსი შემთხვევების შედეგად მიყენებული ზარალი. აღნიშნული დაზღვევა ავტომატურად წყდება თუ:

ა) დაიწყო სამხედრო და/ან საომარი მოქმედებები ბირთვული და სხვა სახის მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებით;

ბ) სამხედრო და საომარ მოქმედებებში მონაწილეობენ `გაეროს` უშიშროების საბჭოს წევრი ქვეყნები;

გ) მოხდა რომელიმე ქვეყნის მიერ დაზღვეული ქონების რეკვიზიცია შესაბამისი კომპენსაციის გადახდის მოთხოვნით.

ფუნდამენტურ რისკებს განეკუთვნება აგრეთვე **ტერორიზმის რისკი**. ბოლო პერიოდში ბევრ ქვეყანაში მკვეთრად გაიზარდა ტერორიზმის რისკი, რამაც გამოიწვია ქონების მნიშვნელოვანი დაზიანება და ადამიანთა სიცოცხლის დანაკარგები. აშშ-ში 2001 წლის 11 სექტემბერს ტერორისტული შეტევის შედეგად განადგურდა ნიუ იორკის მსოფლიო სავაჭრო ცენტრი, დაზიანდა პენტაგონის შენობა, ათასობით ადამიანი გარდაიცვალა და დაშავდა.

**ეკოლოგიური რისკები** წარმოიქმნება მშენებლობისა და სამრეწველო ობიექტების ექსპლუატაციის პროცესში. ამ შემთხვევაში ზიანდება გარემო, კერძოდ ბინძურდება და ნადგურდება ტყის მასივები, წყალი, ჰაერი, მიწა, ბიოსფერო. ეკოლოგიური რისკების შედეგად ზიანი მიადგება გარემოს, ადამიანის ჯანმრთელობას და მოქალაქეთა ქონებას.

**პოლიტიკური რისკები წარმოადგენენ ისეთ რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ქვეყანაში პოლიტიკურ მდგომარეობასთან და სახელმწიფოს საქმიანობასთან, კერძოდ სახელმწიფო მმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებებთან.**

პოლიტიკური რისკები წარმოიშობა საწარმოო-სავაჭრო პროცესში პირობების დარღვევის დროს რაც მეწარმე სუბიექტზე არ არის დამოკიდებული. პოლიტიკურ რისკებს განეკუთვნება საომარი მოქმედების, რევოლუციების დროს სამეწარმეო საქმიანობის განუხორციელებლობა, ქვეყნის შიდაპოლიტიკური მდგომარეობის გამწვავება, საქონლის და საწარმოების კონფისკაცია, ახალი მთავრობის მიერ წინა მთავრობის ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ემბარგოს შემოღება, ან

დაბეგვრის, საინვესტიციო ან საბაჟო რეჟიმის შეცვლა, საკანონმდებლო ცვლილებები და აკრძალვები. ასეთ დროს მცირდება მომხმარებლის მყიდველუნარიანობა, აგრეთვე პროდუქციაზე მოთხოვნილება, შემკვეთმა შესაძლოა უარი განაცხადოს პროდუქციის ღირებულებაზე.

*რისკი, რომლის წარმოშობა დამოკიდებულია ცალკეულ პირებზე და შედეგები გავლენას ახდენს ცალკეულ პირებზე ეწოდება სპეციფიკური რისკები.*

სპეციფიკური რისკის მაგალითებია ავტოავარია, მარცვა, საწარმოო ტრავმა, ავადმყოფობა. ეს რისკები გავლენას არ ახდენს მთელ საზოგადოებას, ადამიანთა დიდ ჯგუფებს. მნიშვნელოვანია ფუნდამენტური და სპეციფიკური რისკების ერთმანეთისაგან განცალკევება, რადგან ფუნდამენტური რისკის დასაზღვევად შესაძლოა აუცილებელი იყოს სახელმწიფო დახმარება, გარანტიები და სუბსიდიები, სოციალური დაზღვევის და სახელმწიფო დაზღვევის პროგრამები. მაგალითად, უმუშევრობის რისკი არ იზღვევა კერძო მზღვეველების მიერ, მაგრამ შესაძლოა დაზღვეულ იქნას სახელმწიფოს მიერ, კერძოდ სახელმწიფო უმუშევრობის საკომპენსაციო პროგრამების მეშვეობით. ასევე ხშირი წყალდიდობების რეგიონებში სახელმწიფომ შესაძლოა მოახდინოს წყალდიდობის დაზღვევის სუბსიდირება საწარმოებზე და ინდივიდუალურ პირებზე.

### **საწარმოს რისკები**

საწარმოო რისკები არის სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედების შედეგად საწარმოს ნორმალური პროცესის დარღვევასთან, აგრეთვე წარმოებაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვასთან დაკავშირებული რისკები. ასეთ რისკებს განეკუთვნებიან წმინდა რისკი, სპეკულატიური რისკი, სტრატეგიული რისკი, ოპერაციული რისკი, და ფინანსური რისკი.

*სტრატეგიული რისკებია* ორგანიზაციის გრძელვადიან მიზნებთან და ამოცანებთან დაკავშირებული რისკები. სტრატეგიულ რისკებს განეკუთვნება კაპიტალის არსებობა, პოლიტიკური გარემოს დინამიკა, კანონმდებლობის ცვლილებები, ბუნებრივი გარემოს ცვლილებები, რეპუტაცია და იმიჯი.

მაგალითად, საწარმომ დაიწყო ახალი ბიზნესი, რომელმაც შესაძლოა წაგება მოუტანოს.

**ოპერაციული რისკები** დაკავშირებულია ორგანიზაციის ყოველდღიურ საქმიანობასთან. მაგალითად, ბანკი, რომელსაც გააჩნია ონლაინ საბანკო სერვისები შეიძლება დანაკარგები განიცადოს თუ ჰაკერები შეაღწევენ ბანკის კომპიუტერებში.

საწარმოო რისკებს მიეკუთვნება აგრეთვე ბუნებრივი მოვლენების (მოწისძვრა, წყალდიდობა და სხვა), ტექნოგენური მოვლენების (შენობა-ნაგებობების, მოწყობილობა-დანადგარების, მანქანების მწყობრიდან გამოსვლა, პროექტირების, მონტაჟის ან პერსონალის შეცდომები, ბოროტგანზრახული მოქმედებები, სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების დროს მოწყობილობების დაზიანება და სხვა) შედეგად დანაკარგები.

საწარმოო რისკი მოიცავს აგრეთვე **ფინანსურ რისკს**. ფინანსური რისკი დაკავშირებულია საქონლის ან მომსახურების ღირებულების, საპრონცეტო განაკვეთების, უცხოური ვალუტის კურსის, ფულის ღირებულების არასასურველი ცვლილებების შედეგად გამოწვეულ დანაკარგებთან. მაგალითად, პურის საცხოვრებელი საწარმომ, რომელიც პურს ფიქსირებული ფასით აწვდის სუპერმარტეტებს შესაძლოა განიცადოს ზარალი როდესაც ხორბლის ფასი მოიმატებს.

ზემოთ ავღნიშნეთ, რომ ჩვენ არ ვიცით თუ რა შედეგი მოჰყვება ამა თუ იმ რისკს, მაგრამ შედეგი შესაძლებელია გაიზომოს ფულადი ერთეულით და შესაბამისად დადგინდეს მოსალოდნელი შედეგის ღირებულება.

**რისკი, რომლის შედეგების გაზომვა შესაძლებელია ფულადი ერთეულით და გარკვეულწილად შესაძლებელია დადგინდეს მოსალოდნელი შედეგის ღირებულება, წარმოადგენს ფინანსურ რისკს.**

**ფინანსური რისკები** დაკავშირებულია ფინანსური რესურსების (ანუ ფულადი საშუალებების) შესაძლო დანაკარგებთან.

ფინანსური რისკები იყოფა ორ სახედ:

- ფულის მსყიდველობითუნარიანობასთან დაკავშირებული რისკი;
- კაპიტალდაბანდებასთან დაკავშირებული რისკი (ინვესტიციური რისკი)

ფულის მსყიდველობითუნარიანობასთან დაკავშირებული რისკების ქვესახეებია:

- ინფლაციური და დეფლაციური რისკები;
- სავალუტო რისკები;
- ლიკვიდობის რისკები

ინფლაცია ნიშნავს ფულის გაუფასურებას და შესაბამისად ფასების ზრდას. დეფლაცია ინფლაციის საპირისპირო პროცესია. ის გამოიხატება ფასების შემცირებით და ფულის მსყიდველუნარიანობის მატებით.

*ინფლაციური რისკი არის რისკი იმისა, რომ ინფლაციის ზრდის დროს მიღებული ფულადი სახსრები უფასურდება რეალური მსყიდველუნარიანობის თვალსაზრისით.*

ინფლაციის დროს მეწარმე განიცდის რეალურ დანაკარგებს.

*დეფლაციური რისკი - ეს არის რისკი იმისა, რომ დეფლაციის დროს ხდება ფასების დონის დაცემა, წარმოების ეკონომიკური პირობების გაუარესება და შემოსავლის შემცირება.*

*სავალუტო რისკები წარმოადგენენ სავალუტო დანაკარგების საფრთხეს, რაც დაკავშირებულია ერთი საზღვარგარეთული ვალუტის კურსის ცვლილებით მეორესთან მიმართებაში გარეეკონომიკური, საკრედიტო და სხვა სავალუტო ოპერაციების მიმდინარეობის დროს.*

სავალუტო რისკები იყოფა ოპერაციულ, ტრანსლაციურ და ეკონომიკურ რისკებად.

*ოპერაციული სავალუტო რისკი* შეიძლება განისაზღვროს როგორც ზარალის წარმოშობა, ან შემოსავლის ზომების შემცირება გაცვლითი კურსის ცვლილების შედეგად და მისი ზემოქმედება პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებულ მოსალოდნელ შემოსავლებზე.

**ტრანსლაციური სავალუტო რისკი** წარმოიშობა იმ შემთხვევაში, თუ ძირითად საწარმოს გააჩნია შვილობილი, ან ფილიალები საზღვარგარეთ. მისი წინაპირობაა კომპანიის აქტივებსა და პასივებს შორის შესაძლო შეუსაბამობა, რაც სხვადასხვა ქვეყნის ვალუტით ითვლება. სტრუქტურული ფილიალის ადგილსამყოფელ ქვეყანაში გაცვლითი კურსის შემცირება დედობილი კომპანიის ადგილსამყოფელი ქვეყნის ვალუტასთან მიმართებით იწვევს მისი მოგების მოჩვენებით შემცირებას. თუ საწარმოს აქვს კონსოლიდირებული ბალანსი, მაშინ გაცვლითი კურსის შემცირების შემთხვევაში ფილიალის, ან შვილობილი საწარმოს აქტივებისა და პასივების გადაანგარიშება მოჩვენებით დანაკარგებთან მიგვიყვანს.

ამგვარად, ტრანსლაციური სავალუტო რისკი შემდეგ შემთხვევებში წარმოიქმნება: კომპანიის ეფექტურობის საერთო შეფასების აუცილებლობის დროს, რომელშიც შედის მისი საზღვარგარეთული ფილიალები; როცა აუცილებელი ხდება კონსოლიდირებული ბალანსის შედგენა; როცა აუცილებელია გადასახადების გადაანგარიშება დედობილი ქვეყნის ადგილსამყოფელი ქვეყნის ვალუტაში.

**ეკონომიკური სავალუტო რისკი** განისაზღვრება როგორც გადაცვლის კურსის ცვლილების არასასურველი გავლენის ალბათობა საწარმოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ის წარმოიშობა მაგ: საქონელბრუნვის მოცულობის, ან წარმოების საშუალებებზე და მზა პროდუქციაზე ფასების ცვლილებით ქვეყანაში აგრეთვე საწარმოს კონკურენტუნარიანობის ცვლილებით. მის ზემოქმედებას სხვა მიზეზებიც შეიძლება ჰქონდეს, მაგ: სამთავრობო ზომები, რომლებიც ეროვნული ვალუტის კურსის დაცემითაა გამოწვეული (ხელფასის ზომის ზრდის ხელოვნური შეჩერება, უცხოური ვალუტის ბრუნვის შეზღუდვა, ფულის ცვლა და ა.შ.) ეკონომიკური სავალუტო რისკი ყველაზე ძლიერად გამოვლინდება ქვეყნებში, რომლებიც საქონლის იმპორტზეა დამოკიდებული. თუ მაგ. საქონლის წარმოება იმპორტულ კომპანიებზეა დამოკიდებული, მაშინ უცხოური ვალუტის ზრდა ეროვნულთან მიმართებაში ზრდის პროდუქციის ღირებულებას და ამცირებს ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობას ანალოგიური პროდუქციის მწარმოებელ საწარმოებთან შედარებით, რომლებიც სამამულო ნედლეულს იყენებენ. უცხოური

ვალუტის კურსის ზრდა სტიმულს აძლევს საექსპორტო-საიმპორტო წარმოებას და ავიწროვებს წარმოებას, რომელიც იმპორტზეა დამოკიდებული.

**ლიკვიდურობის რისკები** წარმოადგენს რისკებს, რომლებსაც ადგილი აქვთ ფასიანი ქაღალდების, ან სხვა საქონლის რეალიზაციის დროს შესაძლო დანაკარგებთან, რაც გამოწვეულია მათი სამომხმარებლო ღირებულების, ან ხარისხის შეფასების ცვლილებით. ლიკვიდურობის რისკი შეიძლება იყოს ძალიან მაღალი იმ შემთხვევაში, თუ ბანკი არ ფლობს ინფორმაციას ახალ სესხებზე მოთხოვნილების გაზრდისა და ანგარიშების მასიური ამოღების შესახებ.

**ინვესტიციური რისკების** ქვესახეებია:

- დაკარგული მოგების რისკი;
- შემოსავლების შემცირების რისკი;
- პირდაპირი ფინანსური დანაკარგების რისკი

**დაკარგული მოგების რისკი** წარმოადგენს არაპირდაპირი (გვერდითი) ფინანსური დანაკარგის (მოგების დაკარგვის) რისკს, რომელიც წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არ ტარდება რომელიმე ღონისძიება (მაგ., დაზღვევა, ჰეჯირება, ინვესტირება და ა.შ.);

**შემოსავლების შემცირების რისკი** შეიძლება წარმოიქმნას საპორტფელო ინვესტიციებზე, დეპოზიტებზე და სესხებზე პროცენტებისა და დივიდენდების შემცირების შედეგად. საპორტფელო ინვესტიციები დაკავშირებულია საინვესტიციო პორტფელის ფორმირებასთან რაც არის ფასიანი ქაღალდების და სხვა აქტივების შექმნა. ტერმინი „საპორტფელო“ წარმოიშვა იტალიური სიტყვიდან “porto foglio”, რაც ნიშნავს ფასიანი ქაღალდების ერთობლიობას, რომელიც ინვესტორს გააჩნია. შემოსავლების შემცირების რისკი მოიცავს შემდეგ სახეებს: საპროცენტო განაკვეთის რისკები, საკრედიტო რისკი, პირდაპირი ფინანსური დანაკარგების რისკი.

**საპროცენტო განაკვეთის რისკი** - კომერციული ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, საინვესტიციო ინსტიტუტების დანაკარგების საფრთხე რაც

განპირობებულია იმ საპროცენტო განაკვეთებში ცვლილების შედეგად, რომლებსაც ისინი იხდიან მოზიდული სახსრების მიხედვით, მიღებული საკრედიტო განაკვეთებზე. საპროცენტო რისკებს აგრეთვე მიეკუთვნება დანაკარგების რისკები, რომლებიც შეიძლება განიცადონ ინვესტორებმა აქციათა დივიდენდების, ბაზარზე ობლიგაციათა საპროცენტო განაკვეთების, სერტიფიკატებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების ფასების ცვლილებების შედეგად.

პროცენტის საბაზრო განაკვეთის ზრდა განაპირობებს ფასიანი ქაღალდების საკურსო ღირებულების შემცირებას. პროცენტების ზრდის დროს შეიძლება დაიწყოს იმ ფასიანი ქაღალდების მასიური დაცემა, რომლებიც ემიტირებულია უფრო დაბალი ფიქსირებული პროცენტებით და რომელთა გამოშვების პირობა ითვალისწინებს ვადამდელ განადგებას. საპროცენტო რისკს იღებს ინვესტორი რომელიც სახსრებს საშუალოვადიან და გრძელვადიან ფასიან ქაღალდებში ათავსებს და ხდება საშუალო საბაზრო პროცენტის ზრდა ფიქსირებულ დონესთან შედარებით. ანუ ინვესტორს შეეძლო მიეღო დამატებითი შემოსავლი პროცენტის გაზრდის ხარჯზე, მაგრამ არ შეუძლია გამოათავისუფლოს თავისი სახსრები, რომლებიც ზემოთ ნაჩვენები პირობებით აქვს განთავსებული. საპროცენტო რისკს იღებს ემიტენტი, რომელიც ბრუნვაში უშვებს საშუალოვადიან და გრძელვადიან ფასიან ქაღალდებს ფიქსირებული პროცენტით. ანუ ემიტენტს შეუძლია მიიზიდოს სახსრები ბაზრიდან უფრო დაბალი პროცენტით, მაგრამ იგი უკვე შეზღუდულია მის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდებით. რისკის ამ სახეს საპროცენტო განაკვეთების სწრაფი ზრდისას ინფლაციის პირობებში მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდებისათვისაც აქვს მნიშვნელობა.

**საკრედიტო რისკი** წარმოადგენს მევალის მიერ კრედიტორის კუთვნილი ძირითადი ვალის და პროცენტების არგადახდის საშიშროებას. საკრედიტო რისკი ბანკს შეიძლება წარმოემშვას თავის კლიენტებთან (დებიტორები) სხვადასხვა საქმიანობიდან, როგორცაა კრედიტების გაცემა, სახაზინო და საინვესტიციო საქმიანობა, ვაჭრობის დაფინანსება და სხვა. შესაძლოა მეწარმემ არ გადაიხადოს კრედიტორის კუთვნილი ძირითადი ვალი და პროცენტები. ეს შეიძლება რამოდენიმე მიზეზით მოხდეს: დაუმთავრებელი მშენებლობა, საბაზრო და ზოგადეკონომიკური სიტუაციის ცვლილება, საინვესტიციო პროექტის



არასაკმარისი მარკეტინგული დამუშავება, საგანგებო მოვლენები. კრედიტორისათვის მნიშვნელობა აქვს არამარტო იმას, რომ დაუბრუნდეს თანხა და პროცენტები, არამედ, დაბრუნების ვადებსაც. ასე რომ კრედიტორისათვის არსებობს პირდაპირი დანაკარგების რისკი, რაც ხდება საკრედიტო თანხის, ან მისი ნაწილის დაუბრუნებლობის დროს და არაპირდაპირი დანაკარგების რისკი, როცა ხდება ძირითადი ვალის ან პროცენტის შეჩერება. საკრედიტო რისკს მიეკუთვნება აგრეთვე ისეთი მოვლენის რისკი, რომლის შედეგადაც იმიტენტს, რომელმაც ფასიანი ქაღალდები გამოუშვა, აღარ შეუძლია გადაიხადოს პროცენტები ან ძირითადი ვალის თანხა. საკრედიტო რისკების შემცირების რამოდენიმე გზა არსებობს. მათ შორისაა: საფინანსო ღონიძიებები -საფინანსო გარანტიების მიღება და დაზღვევა.

**პირდაპირი ფინანსური დანაკარგების რისკებს** მოიცავს შემდეგ სახეებს: საბირჟო რისკი, სელექციური რისკი, გაკოტრების რისკი, ასევე საკრედიტო (ფინანსური) რისკი.

**საბირჟო რისკი** ეს არის საბირჟო გარიგებებით გამოწვეული დანაკარგების საშიშროების რისკები. ამ რისკებს მიეკუთვნებათ: კომერციულ გარიგებებში გადაუხდელობის რისკი, ბროკერული ფირმებისათვის საკომისიო ჯილდოების გადაუხდელობის რისკი და ა.შ.

**სელექციური რისკები** (ლათ. სელექციო არჩევა, გადარჩევა) წარმოადგენს ინვესტიციური პორტფელის ფორმირების დროს კაპიტალდაბანდების მეთოდის არასწორი არჩევანის რისკს ფასიანი ქაღალდების სახით სხვა სახის ფასიან ქაღალდებთან შედარებით.

**გაკოტრების რისკი** არის ეს კაპიტალის არასწორი ჩადებით გამოწვეული შედეგების, მეწარმის მიერ საკუთარი კაპიტალის სრული დაკარგვის და თავის თავზე აღებული ვალდებულებების გადახდის საშუალების არ ქონის საფრთხე.

**საკრედიტო (ფინანსური) რისკი** დროის ფუნქციას წარმოადგენს. როგორც წესი რისკის ხარისხი მოცემული ფინანსური აქტივისათვის ან კაპიტალდაბანდების ვარიანტისათვის დროის მიხედვით იზრდება. მაგ. იმპორტიორის შემოსავლები (დანაკარგები) დამოკიდებული იქნება პერიოდზე, კონტრაქტის დადების მომენტიდან გარიგების მიხედვით გადახდების ვადამდე, იმდენად, რამდენადაც უცხოური ვალუტის

კურსი იმ ქვეყნის ვალუტის კურსთან შედარებით, სადაც ხდება საქონლის შეტანა შეიძლება შეიცვალოს.

ფინანსური რისკების განხილული სისტემის ყველაზე სერიოზულ ნაკლს წარმოადგენს ის, რომ მასში არ არის რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ბიზნესის მართვასთან, და კერძოდ ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებთან, როგორებიცაა შეფერხებები კომპანიის ეფექტური ფინანსური მექანიზმის შექმნაში, ხარვეზები ფინანსურ პოლიტიკაში და ფინანსების ოპერატიულ მართვაში დარღვევები. თავის მხრივ ეს ნიშნავს, რომ არსებული რისკების სისტემის სპეციფიკით განსხვავებული პროექტებისათვის უნდა შეიქმნას რისკების საკუთარი კლასიფიკაცია, რომელიც უფრო სრულად ასახავს მოცემული პროექტების რეალიზაციის რისკებს.

*არაფინანსური რისკები.* ფინანსური რისკების გარდა არსებობს არაფინანსური რისკები. არსებობს სიტუაციები, როდესაც შედეგების შეფასება ფულადი ფორმით შეუძლებელია. იმავე ავადმყოფობის შემთხვევაში შეუძლებელია ფულადი ფორმით შეფასდეს ავადმყოფის განცდები, დისკომფორტი.

*არაფინანსურია რისკები, რომლის შედეგების შეფასება ფულადი ფორმით შეუძლებელია.*

ძარცვის რისკი შესაძლებელია გაიზომოს დაკარგული ქონების ღირებულებით. ავადმყოფობის შედეგი ანუ ავადმყოფობის რისკი შესაძლებელია გაიზომოს მკურნალობის ხარჯებით.

რისკების კლასიფიკაცია დოგმატური არაა. ერთი და იგივე რისკი შეიძლება მივაკუთვნოთ სხვადასხვა ჯგუფს. ერთი შეხედვით, ხანძარი ფუნდამენტური რისკია, რადგან მისმა შედეგებმა შესაძლოა გავლენა მოახდინოს ადამიანთა დიდ რაოდენობაზე, თუმცა წარმოშობა შესაძლებელია უკავშირდებოდეს ერთი ადამიანის უგულისყურობას. ხანძარი ასევე წმინდა რისკია, რადგან მისი შედეგები არსებული მდგომარეობის გაუარესებას განაპირობებს. იგი ასევე შეიძლება ჩაითვალოს ფინანსურ რისკად, რადგან შესაძლებელია ზარალის გამოთვლა ფულადი სახით.

ცხრილი: ფინანსური და არაფინანსური რისკები

ფინანსური და არაფინანსური რისკები					
ფინანსური			არაფინანსური		
შედეგების შეფასება შესაძლებელია ფულადი ფორმით			შედეგების შეფასება შეუძლებელია ფულადი ფორმით		
წმინდა და სპეკულატიური რისკები					
წმინდა			სპეკულატიური		
არაა დაკავშირებული რაიმე სახის შანსთან, რისკის მიზანი არაა მოგება			მჭიდროდაა გადაჯაჭვული შანსთან, გარისკვა გამოწვეულია მოგების სურვილით		
ფუნდამენტური და სპეციფიკური რისკები					
ფუნდამენტური			სპეციფიკური		
წარმოშობა არაა დამოკიდებული ერთ პირზე ან საზოგადოებაზე			წარმოშობა დამოკიდებულია ცალკეულ პირებზე, გავლენას ახდენს ცალკეულ პირებზე		

**წმინდა რისკის სახეები**

წმინდა რისკების უმთავრესი სახეებია პირადი (პერსონალური) რისკები, ქონების რისკები და პასუხისმგებლობის რისკები.

პერსონალური რისკები პირდაპირ გავლენას ახდენენ პიროვნებაზე. მათ შესაძლოა განაპირობებენ შემოსავლების დაკარგვა, ან შემცირება, დამატებითი დანახარჯები, ფინანსური აქტივების კლება. პერსონალური რისკის 4 სახე არსებობს:

- ნაადრევი გარდაცვალების რისკი;
- სამსახურიდან გადადგომით არასაკმარისი შემოსავლების რისკი;
- ჯანმრთელობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის რისკი;
- უმუშევრობის რისკი

**ნაადრევი გარდაცვალების რისკი.** ნაადრევი გარდაცვალება გულისხმობს ოჯახის მარჩენალის (უფროსის) გარდაცვალებას, რომელსაც გააჩნია შეუსრულებელი ფინანსური ვალდებულებები. ასეთ ვალდებულებებს განეკუთვნება ოჯახის წევრების მხარდაჭერა, იპოთეკური სესხის გადახდა, ან ბავშვების სწავლა-განათლება. როდესაც ოჯახის წევრები მარჩენალის გარდაცვალების შემთხვევაში დებულობენ შემოსავლების არასაკმარის რაოდენობას

სხვა წყაროებიდან, ან გარდაცვალების შედეგად დაკარგულ შემოსავლებს ვერ ანაცვლებენ არასაკმარისი ფინანსური საშუალებების გამო, შესაძლოა ფინანსურად არასაიმედო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

ნაადრევმა გარდაცვალებამ შესაძლოა განაპირობოს ფინანსური პრობლემები როდესაც გარდაცვლილის ოჯახის წევრები საჭიროებენ მხარდაჭერას ან გარდაცვლილს რჩება შეუსრულებელი ფინანსური ვალდებულებები. ამგვარად, 7 წლის ბავშვის სიკვდილი ეკონომიკური თვალსაზრისით არ წარმოადგენს უდროო სიკვდილს.

ოჯახის უფროსის უდროო გარდაცვალება შემდეგი სახის დანახარჯებს განაპირობებს. ოჯახის უფროსის ადამიანური სიცოცხლის ღირებულება სამუდამოდ დაკარგულია. ადამიანური სიცოცხლის ღირებულება განისაზღვრება როგორც გარდაცვლილი მარჩენალის მომავალი შემოსავლების მიმდინარე ღირებულების წილი ოჯახში. ეს დანაკარგი შესაძლოა აღმოჩნდეს არსებითი. ასევე, უდროო გარდაცვალება განაპირობებს დამატებით ხარჯებს, რაც დაკავშირებულია დაკრძალვის, დაუზღვეველ ჯანდაცვის სერვისების, ანდერძის ოფიციალური დამტკიცების, ქონების დაკანონების, დიდი ქონების შემთხვევაში მემკვიდრეობის გადასახადების ხარჯებთან. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია არაეკონომიკური ხარჯები, როგორცაა მწუხარება.

*სამსახურიდან გადადგომით არასაკმარისი შემოსავლების რისკი.* ხანდაზმულობის ასაკთან დაკავშირებული უმთავრესი რისკია სამსახურიდან გადადგომით განპირობებული არასაკმარისი შემოსავალი. მოსახლეობის გარკვეული ნაწილი სამსახურს ტოვებს 60-65 წლამდე, ანუ საპენსიო ასაკამდე. სამსახურიდან გადადგომით ისინი კარგავენ შემოსავლებს. მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა საკმარისი ფინანსური საშუალებები, სახელმწიფო თუ კერძო პენსია, ან სოციალური დახმარება, სამსახურიდან გადადგომის პერიოდში ისინი შესაძლოა აღმოჩნდნენ ფინანსური საფრთხეების წინაშე.

სამსახურიდან გადადგომის შედეგად ადამიანები განიცდიან შემოსავლების მკვეთად შემცირებას, რამაც შესაძლოა განაპირობოს ცხოვრების დონე. მაგალითად, 2005 წელს ჩატარებული მოსახლეობის მიმდინარე გამოკითხვის მიხედვით, აშშ-ში ოჯახის მედიანური ფულადი შემოსავალი შეადგენდა 46326 აშშ დოლარს. ამისგან განსხვავებით 65 წლის და მეტი ასაკის ოჯახის მედიანური შემოსავალი შეადგენდა 26 036 აშშ დოლარს, ანუ 44 %-ით ნაკლებს (U.S. Census Bureau. 2006). ეს თანხა არასაკმარისია სამსახურიდან გადამდგარი პირისათვის, რომელსაც აქვს

მნიშვნელოვანი დამატებითი ხარჯები, როგორცაა მაღალი დაუზღვეველი სამედიცინო ხარჯები, ქონების მაღალი გადასახადები, ან მოვლის სახლებში ხანგრძლივი სამედიცინო მომსახურების ხარჯები.

დასაქმებულთა უმეტეს ნაწილს არ აქვს კომფორტული სიბერისათვის საკმარისი თანხების შენახვის შესაძლებლობა. ერთ-ერთი კვლევის მიხედვით დასაქმებულთა 53 % აღნიშნა, რომ საპენსიოდ დაზოგილი თანხა შეადგენს \$25000-ზე ნაკლებს, და მხოლოდ 12 % აღნიშნა - \$250000. ზოგადად, ამ რაოდენობით დაგროვილი თანხა საკმაოდ მცირეა კომფორტული სიბერისათვის.

**ჯანმრთელობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის რისკი.** ჯანმრთელობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა მნიშვნელოვანი პერსონალური რისკია. ჯანმრთელობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის რისკი მოიცავს კატასტროფულ სამედიცინო ხარჯებს. ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ჯანდაცვის სერვისების ხარჯები. მაგალითად, გულის ქირურგიული ოპერაციის ღირებულება \$300000-ს აღემატება, თირკმლის ან გულის გადანერგვის ოპერაციის ღირებულება \$50000-ზე მეტია. მოვლის სახლებში ხანგრძლივი სამედიცინო მომსახურების ღირებულება \$60000-ს აჭარბებს წლის განმავლობაში (Rejda. 2013). პირს შეიძლება ჰქონდეს ადექვატური ჯანმრთელობის დაზღვევა, კერძო დანაზოგები და ფინანსური საშუალებები, ან შემოსავლის სხვა წყაროები, მაგრამ ჯანდაცვის აღნიშნულ ხარჯებზე იგი ვერ იქნება ფინანსურად დაცული.

ფინანსური დაუცველობის შემდეგი მთავარი მიზეზია შემოსავლების დაკარგვა ინვალიდობის გამო. ქრონიკული ინვალიდობის შემთხვევაში შემოსავლების დანაკარგი საკმაოდ მნიშვნელოვანს შეადგენს, რაც დაკავშირებულია სამედიცინო დანახარჯებთან, დასაქმებულის კუთვნილი სარგებლების დაკარგვასთან ან შემცირებასთან, დანაზოგების კლებასთან, აგრეთვე ინვალიდის მომვლელისათვის გასაწევ ხარჯებთან. ამასთან ინვალიდობის პრონოზირება შეუძლებელია, რაც კიდევ უფრო ამძიმებს მდგომარეობას.

უმუშევრობის რისკი. ფინანსური უსაფრთხოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფრთხეა

უმუშევრობა შეიძლება გამოწვეული იყოს ბიზნეს ციკლების ვარდნით, ტექნოლოგიური და სტრუქტურული ცვლილებებით ეკონომიკაში, სეზონური ფაქტორებით, შრომის ბაზრის ჩავარდნებით. უმუშევრობის პრობლემას რამოდენიმე მნიშვნელოვანი ტენდენცია აღრმავებს. დასაქმებულთა ხარჯების

შეკავების მიზნით მკვეთრად შემცირდა მსხვილი კორპორაციების და შესაბამისად დასაქმებულთა რაოდენობა. საწარმოები დასაქმებულებთან დებენ დროებით ან არასრულ სამუშაო დროზე ხელშეკრულებებს.

ცხრილი: რესპოდენტების მიერ გაცხადებული მთლიანი დანაზოგები ასაკის მიხედვით

	ყველა დასაქმებული	25-34 წელი	35-44 წელი	45-54 წელი	55+ წელი	ყველა პენსიონერი
<\$10000	39%	54%	34%	31%	36%	30%
\$10000-\$24000	14	19	15	13	6	12
\$25000-\$49999	12	11	14	14	8	14
\$50000-\$99999	12	7	16	12	12	11
\$100000-\$149999	5	1	7	5	7	7
\$150000-\$249999	6	3	5	10	5	6
\$250000-\$499999	6	1	5	8	13	12
\$500000 >	6	4	4	3	13	10

Employee Benefit Research Institute, “Will More of Us Be Working Forever? The 2006 Confidence Survey, EBRI Issue, No. 292, Figure 3, April 2006.

უმუშევრობა განაპირობებს ფინანსურ დაუცველობას, რადგან პირი კარგავს გამომუშავებულ შემოსავალს და დასაქმების სარგებლებს. ამასთან თუ უმუშევრობა დიდი ხნის განმავლობაში გრძელდება, დანაზოგები და უმუშევრობის სარგებლები ამოიწურება.

### ქონების რისკები

*ქონებრივი რისკები* დაკავშირებულია მოქალაქის ან მეწარმის ქონების დაკარგვის ალბათობასთან რაც გამოწვეულია ქურდობის, დივერსიების, დაუდევრობის, ტექნიკური და ტექნოლოგიური სისტემების უსაფრთხოების უგულებელყოფის შედეგად. ქონება ზიანდება ან ნადგურდება ხანძრის, ქარიშხლის, წყალდიდობის და მრავალი სხვა

მიზეზების გამო. ამ დროს აღინიშნება ორი სახის დანაკარგები: პირდაპირი და არაპირდაპირი ზარალი.

**პირდაპირი დანაკარგი** წარმოადგენს ფინანსურ ზარალს, რომელიც გამოწვეულია ქონების ფიზიკური დაზიანების, განადგურების, ან ქურდობის შედეგად. მაგალითად, თუ სუპერმარკეტი დაზიანდა ხანძრის შედეგად, ფიზიკური დაზიანება წარმოადგენს პირდაპირ დანაკარგს.

**არაპირდაპირი დანაკარგი** არის ფინანსური დანაკარგი რომელიც არაპირდაპირ არის გამოწვეული პირდაპირი ფიზიკური დაზიანების ან ქურდობის შედეგად. ამგვარად, ფიზიკურ დაზიანებით გაწვეულ ზარალთან ერთად, სუპერმარკეტმა შეიძლება დაკარგოს მოგება რამოდენიმე თვის განმავლობაში სანამ იგი არ გარემონტდება ან თავიდან არ აშენდება. ამ შემთხვევაში მოგების დანაკარგი არის ფიზიკური დაზიანების შედეგად გამომდინარე, არაპირდაპირი დანაკარგი. არაპირდაპირი დანაკარგის მაგალითია აგრეთვე იჯარის ქირის დაკარგვა, შენობის გამოყენების დანაკარგი, ადგილობრივი ბაზრის დანაკარგი.

### **პასუხისმგებლობის რისკები**

წმინდა რისკის შემდეგი ერთ-ერთი მთავარი რისკია პასუხისმგებლობის რისკი. კანონის შესაბამისად ადამიანს ეკისრება იურიდიული პასუხისმგებლობა როდესაც იგი გამოიწვევს სხვა პირის სხეულის ან ქონების დაზიანებას. იგი ვალდებულია დაზარალებულ პირს გადაუხადოს განსაზღვრული თანხა. მეწარმეებს შესაძლოა დაეკისროთ იურიდიული პასუხისმგებლობა წუნდებული პროდუქციის გამოშვებაზე, რომლებმაც შესაძლოა დააზიანოს მომხმარებლები. ექიმებს, ადვოკატებს, ბუღალტრებს, ნოტარიუსებს, ინჟინრებს და სხვა სპეციალისტებს შესაძლოა უჩივლონ პაციენტებმა და მომხმარებლებმა დაუდევრობით გამოწვეული ზიანის გამო.

პასუხისმგებლობის რისკებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ სხვადასხვა მიზეზების გამო. უპირველესად, ამ დროს დანაკარგებს არ აქვთ მაქსიმალური ზედა ზღვარი. პირი შესაძლოა წარსდგეს სასამართლოს წინაშე ნებისმიერი თანხაზე. ამისგან განხვავებით ქონების დაზიანების შემთხვევაში განსაზღვრულია დანაკარგების მაქსიმალური ლიმიტი. მაგალითად, მანქანის ფაქტობრივი ფულადი ღირებულებაა \$20000, მაშინ ფიზიკური დაზიანების შედეგად გამოწვეული დანაკარგების მაქსიმუმია \$20000. მაგრამ თუ დაუდევრობის გამო მძღოლმა მოახდინა ავარია, რამაც განაპირობა სხვა პირის სხეულის სერიოზული დაზიანება,

მძღოლს დაზარალებული მხარისგან დაეკისრება იურიდიული პასუხისმგებლობა ნებისმიერ თანხაზე - \$50000, \$500000, ან 1 მლნ დოლარის თანხაზე.

ასევე შესაძლო შემოსავალს და ფინანსურ აქტივებს ყადაღა დაედოს. მაგალითად, როდესაც პირი სხვას დააზიანებს, სასამართლო ამ პირს დააკისრებს ზარალის გადახდას დაზარალებული პირისათვის. თუ პირი ვერ შეძლებს თანხის გადახდას, მის შემოსავალს და ფინანსურ აქტივებს ყადაღა დაედება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკმოდ ძვირადღირებულია იურიდიული დაცვის ხარჯები. პასუხისმგებლობის დაზღვევის არქონის შემთხვევაში ადვოკატის დაქირავების ხარჯები ძალიან მაღალია. თუ სარჩელი სასამართლოს გადაეცა, ადვოკატის ხარჯები და სხვა იურიდიული დანახარჯები კიდევ უფრო ძვირადღირებული ხდება.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

- გიგოლაშვილი, გიორგი. *სადაზღვევო საქმე*. თბილისი. 2010.
- ჯაყელი, კახაბერ. *დაზღვევა და ჯანდაცვის ეკონომიკა*. თბილისი. 2010.
- ვერულავა, თენგიზ. *ჯანდაცვის ეკონომიკა და დაზღვევა*, საქართველოს უნივერსიტეტი. თბილისი. 2009.
- ბენიძე, ნანა. შონია ნანა. ბიწაძე, ჯემალ. *რისკები და დაზღვევა*. თბილისი. საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“. 2010
- Thoyts, Rob. *Insurance Theory and Practice*. Routledge. 1 edition. 2010.
- Rejda, George E. *Principles of Risk Management and Insurance*. 12/e. 2013.
- U.S. Census Bureau, *Incom, Poverty, and Health Insurance Coverage in the United States: 2005* (Washington, DC:U.S. Government Printing Office, 2006),
- Фёдоров, Т. А. *Страхование: Учебник*. 2-е изд. Экономика. 2004.
- Грищенко, Н. Б. *Основы страховой деятельности: Учебное пособие*. Барнаул: Изд-во Алт. ун-та. 2001.

© თენგიზ ვერულავა. რისკი და ზარალი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი. 2013 წ.